

ჯონ ვიგანი  
HCH & პესტიციდების საერთაშორისო ასოციაცია (IHPA)  
კრისტიან ებენჰოფერი  
ევროპული პოლიტიკის სასწავლო ცენტრი (CEPS)



LETHAL  
ვადანერსული  
პესტიციდები

ნადვი, რომელზეც  
ნაგზომია ჩართული და  
რატომ უნდა ვიზოქმედოთ ახლავი



IHPA - HCH და პესტიციდების საერთაშორისო ასოციაცია  
2840; ჰოლტე; დანია

სათაური:

ვადაბასული პესტიციდები - ნაღმი, რომელზეც წამზომია  
ჩართული და რატომ უნდა უნდა ვიმოქმედოთ ახლავე

ავტორები:

ჯონ ვიგენი, პესტიციდების საერთაშორისო ასოციაციის (IHPA)  
დირექტორი  
კრისტინ ეგენჰოფერი, ევროპული პოლიტიკის სასწავლო  
ცენტრის (CEPS) საბჭოს წევრი

გამომცემლები:

IHPA საქართველო;  
მწვანე ჯვარი შვეიცარია

მარკეტინგი:

„ამბრელა & კონსალტინგი“

ქართული ნაწილის ავტორები:

ოთარ ქირია - რედაქტორი  
ხათუნა ახალაია - თანარედაქტორი  
თარგმანი და სტილი - ავთანდილ ჩიტიძე  
დაკაბადონება და დიზაინი - ლიზა ჯალალანია

ფოტოები: მატის ბუვკენეგტი, ბერტო კოლეტი,  
ბუდევინ ფოკე, ხათუნა ახალაია  
ფოტო ყდაზე: იან ბეთელემი

ISBN-13: 978-90-76098-10-4

ბეჭდვა:

სტამბა შპს „ვესტა“

2013 © IHPA

**ვადაგასული პესტიციდეზის მარაგი  
საუიუროების უემცველია არა მარტო  
ადამიანის ჯანმრთელოებისათვის,  
არამედ ის ასევე აბინძურებს გუნე-  
ბრივ რესურსებს და ამით ხელს უშლის  
სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას.**

დანუტა უბნერი

EU Commissioner for Regional Policy (Humner, 2007).



**გერმანელ ფერმერთა ასოციაციის (DEITSCHER BAUERNVERBAND) შეაფასებით, ნიტროფენტან დაკავშირებული სკანდალით გამოწვეული ზარალი აჭარბებს 500 მილიონ ევროს.**

(Brennpunkt LebensmittelSicherheit, 2002).



**ამ ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემის მოსაგვარებლად, სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს სერიოზული ქმედებები, რადგან ნებისმიერი დაყოვნება მეტად აღრმავებს ზიანის მასშტაბებს და მერე ძალიან გვიან იქნება.**

ალემანიჰუ ვოდაგენეჰი,  
FAO -ს გლობალური პროგრამის ყოფილი კოორდინატორი  
ვადაგასულ პესტიციდებთან დაკავშირებით  
(ვოდაგენეჰი, 2007)





უმოქმედობის შემთხვევაში, ამ ქიმიური ნაერთებიდან უმრავლესობა, საბოლოოდ, მოხვდება ნიადაგში, წყალში და ჰაერში. მათი გარემოში გავრცელება კი პრობლემის გადაჭრის ღირებულებასა და საფრთხეს საბრძნობლად გაზრდის.

ევროკომისია მხარს უჭერს ვადამასული პესტიციდების პრობლემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას.

სტავროს დიმაში,  
Eu commissioner for Environement (Dimas, 2007).



## წინასიტყვაობა

საჭიროა სასწრაფო რეაგირება ვადაგასულ პესტიციდებთან დაკავშირებით. ეს პრობლემა შედარებით სწრაფ ნაბიჯებს მოითხოვს და ეს არ არის ახალი პრობლემა.

გთხოვთ, ნება დამართოთ, გავაგრძელო ჩემი წინა მოხსენება ვადაგასულ პესტიციდებთან დაკავშირებით. ეს ანგარიში შესულია წიგნში — “საშიში ქიმიური ნივთიერებები, ვადაგასული პესტიციდები”, რომელიც ჩემმა კოლეგამ, ვისლავ კუცმა დაწერა.

წიგნი ნათლად გვიჩვენებს, რომ პოლიტიკოსებმა უნდა იმოქმედონ ახლავე, რათა კიდევ უფრო არ გართულდეს სიტუაცია. საბედნიეროდ, ჩანს, რომ ამასთან დაკავშირებით ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნები ახორციელებენ ქმედებებს და შესაძლოა ეს დასრულდეს რამდენიმე წელიწადში, მაგრამ რა ხდება რეგიონში, რუსეთში და ცენტრალურ აზიაში? ჩვენ არ უნდა დაველოდოთ ახალ სკანდალებს საკვების დაბინძურებასთან დაკავშირებით ან იმას, თუ როდის გადაწყვეტენ ამ პრობლემას თავადვე.

ანგარიშში მე ვახსენე 2002 წლის ნიტროფენის სკანდალი, რაშიც მოყვნი დაწინააღმდეგე ვეროპის სხვა ქვეყნები. ახალი უბედურება მძიმე შედეგების მომტანი იქნება და გვიჩვენებს, რომ ჩვენ ამ საკითხს სერიოზულად არ ვუყურებთ და რომ ვერ გავითვალისწინებთ ძველი გაკვეთილი.

ასევე აღვნიშნავ, რომ ჩვენ უნდა გავამახვილოთ ყურადღება ორ მთავარ საკითხზე:

- შემცირდეს ვადაგასული პესტიციდების მარაგი;
- ჩატარდეს პრევენციული ღონისძიებები ახალი რაოდენობის დაგროვების წინააღმდეგ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა პრობლემები გადაიჭრას გაერთიანებული სააგენტოს ან ფონდის შექმნით, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ვადაგასული პესტიციდების საკითხზე. მე ასევე ავხსენი, თუ როგორ შეიძლება, ეს სააგენტო გახდეს გაეროს ნაწილი და იმუშაოს სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (FAO), რომელსაც გაეროს მანდატი გააჩნია პესტიციდების მართვის საკითხთან დაკავშირებით.

ამიტომაც მივესალმები FAO-ს ინიციატივას ცენტრალურ აზიაში მუშაობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, 2008 წელს აზერბაიჯანში ჩატარდა სემინარი და გამოაგნებელი იყო ამ სემინარზე გაჟღერებული ახალი ინფორმაცია ვადაგასულ პესტიციდებთან დაკავშირებით.

აუცილებელია, რომ ევროკავშირმა საკითხს სათანადო ყურადღება მიაქციოს და მე შევეცდები, ამ პრობლემამ ასახვა ჰპოვოს ევროკავშირის კანონმდებლობაში. სამუშაოები უნდა ჩატარდეს გარემოს დაცვის კომიტეტში და შესაბამის კომისრებთან ორმხრივ შეხვედრებზე შემდგომი ნაბიჯები უნდა შეჯერდეს, ისეთი, როგორცაა, მაგალითად, შესაბამისი სააგენტოს ან ფონდის შექმნა.

მე მივმართავ ჩემს კოლეგებს ევროპარლამენტში, მხარი დაუჭირონ ამ ინიციატივას. ვადაგასული პესტიციდების პრობლემები უკვე დღეს მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებას.



იან არგეენი,  
ევროპარლამენტის წევრი

ГОРЯЧИЙ 2  
ГОТОВЛ. И  
АННИН  
ПД

## შესავალი


ეს ანგარიში, რომელსაც ეწოდება: “ვადაგასული პესტიციდები — ნაღმი, რომელზეც წამშობია ჩართული და რატომ უნდა ვიმოქმედოთ ახლავე”, თავისი წვლილი შეაქვს იმ ანალიზში, რომელიც ინფორმაციას გვანვდის ვადაგასული პესტიციდების პრობლემებთან დაკავშირებით ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, ჩრდილოეთ ბალკანეთის და ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში. როგორც ღრმად ჩართული ამ საქმიანობაში, მხოლოდ გავიმეორებ, რომ საჭიროა დაუყოვნებელი და გადამწყვეტი ქმედება. ეს არის ჩემი მოწოდება და ეს არის მიმართული ევროკომისიის მიმართ. ეს არის მნიშვნელოვანი ორგანიზაცია, რომელიც ჩართულია ამ საკითხის რეგულირებაში იმ ქვეყნებთან ერთად, რომელთაც აწუხებთ გადაუჭრელი პრობლემა ვადაგასულ პესტიციდებთან დაკავშირებით.

2007 წელს ევროპარლამენტში ჩავატარე საზოგადოებრივი მოსმენა გამოფენასთან ერთად, რომელიც ვადაგასულ პესტიციდებთან დაკავშირებულ რისკებს ასახავდა. გარდა ამისა, ეს გამოფენა მსოფლიო ბანკის გლობალური გარემოს დაცვითმა ფონდმა მიიწვია ვაშინგტონში, პესტიციდების საერთაშორისო ფორუმზე კიშინიოვში და UNIDO -ს მიერ ვენაში ორგანიზებულ ორმხრივ შეხვედრაზე. მე მივიღე დიდი გამოხმაურება მზარდ რისკებზე ადამიანების ჯანმრთელობასა და საკვებ პროდუქციაში ვადაგასული პესტიციდების მოხვედრასთან დაკავშირებით, ასევე გარემოს საფრთხეზე.

მინდა, გამოვხატო ჩემი მადლიერება საერთაშორისო HCH და პესტიციდების ორგანიზაციისადმი, რადგან ისინი დაულალავად შრომობენ და აერთიანებენ ხალხს ამ მიმართულებით, მათ შორის არიან ევროპარლამენტი, მსოფლიო ბანკი, fao, Gef, UNIDO, არასამთავრობო ორგანიზაციები და სანარმოები, რომლებიც პესტიციდებს აწარმოებენ.

პირველ ეტაპზე შეიმჩნება რეგიონალური პროექტების რაოდენობა. Fao ihpa-მ დაიწყო პროექტი “შესაძლებლობების გაძლიერება ვადაგასულ პესტიციდებთან, ასევე მდგრად ორგანულ დამბინძურებლებთან დაკავშირებით”, პარტნიორობით მთლიურ კონტაქტ ინტერნაციონალურ; მწვანე ჯვარი და 9 ქვეყანასთან ერთად. პროექტი დაიწყო 2009 წელს. იგი მოიცავს ინფორმაციის გავრცელებით ცნობიერების ამაღლებას და შესაძლებლობების გაძლიერებას რეგიონებში გამოცდილებების გაზიარებით. პროექტი აერთიანებს ქვეყნებს და სპეციალისტებს, რომლებიც ვადაგასული პესტიციდების განმეინდის პროექტებს ამზადებენ და ახორციელებენ ქვეყნებში და რეგიონში.

გაეროს მანდატით ფოამ მოახერხა პრობლემის შესწავლის ინიცირება ცენტრალურ აზიაში და კავკასიაში. 2008 წლის სემინარზე აზერბაიჯანში (ბაქოში) ორგანიზაციამ მკაფიოდ განაცხადა არსებულ საფრთხეზე და მიმართა მსოფლიოს, რომ ახლავე უნდა იმოქმედოს. ვფიქრობ, ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ამ მიმართულებით დადებითია და უნიკალურ შესაძლებლობას გვაძლევს, ევროკომისია აქტიურად ჩაერთოს პროცესის გაფართოებაში. ამიტომაც მე ვინვევ კომისიას, მონაწილეობა მიიღოს მრავალი მაგდის ირგვლივ დისკუსიაში და იდეების გაზიარებაში სწრაფად შექმნას სამოქმედო გეგმა.



ვისლავ შტეფან კუცი,  
ევროპარლამენტის წევრი  
აპრილი, 2009 წელი, ბრიუსელი



## სარჩევი

ნინასიტყვაობა .....	1
შესავალი .....	2
აბსტრაქტი .....	3
1. ზოგადი მიმოხილვა .....	4
2. საერთაშორისო შეთანხმებები .....	5
3. პრობლემის მასშტაბი .....	6
4. ვადაგასული პესტიციდების შეგროვების და გაუვნებელყოფის პროცესი .....	8
4.1. ქმედებები ევროკავშირის ქვეყნებში .....	9
4.2. ევროკავშირის საზღვრებს მიღმა – მარგინალური პროგრესი .....	10
5. ნაბიჯები პროგრესისათვის .....	11
6. შეთავაზება — სამოქმედო გეგმა .....	12
გამოყენებული ლიტერატურა	
დანართი 1. ვადაგასული პესტიციდების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით .....	14
დანართი 2. მაგალითი საქართველოდან .....	15
დანართი 3. აკრონიმები .....	16





## აბსტრაქტი

პესტიციდები გამოუსადეგარია, როცა მათი შემდგომი გამოყენება არ შეიძლება აკრძალვის გამო. ასევე, როცა ხანგრძლივი დროის განმავლობაში რჩებიან გარემოში და მათი გამოყენება არ შეიძლება სიძველის ან დაზიანების გამო. სწორედ ეს ნივთიერებები რეგულირდება სტოკჰოლმის კონვენციით მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ, რომელიც ევროკავშირის უმეტეს ქვეყნებშია რატიფიცირებული, ასევე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის არაწევრ ქვეყნებში. კონვენცია ძალაში შევიდა 2004 წელს.

კონვენციამ და შესაბამისმა ეროვნულმა სამოქმედო გეგმამ, რომელიც ხელმოწერა ქვეყნებში შემუშავდა, ხელი შეუწყო პრობლემის მონესრიგებას ევროპის გარკვეულ ზონებში. იქ მწარმოებლებს კანონმდებლობით ევალებათ, გადაჭრან პრობლემები შეგროვებისა და განადგურების ჩათვლით. პროცესი უფრო განვითარდა და გაძლიერდა ევროკავშირის პროგრამებით, როგორცაა ღ ან ეროვნული პროგრამებით, რომლებიც ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა დაამტკიცეს.

მხოლოდ სტოკჰოლმის კონვენციის მოთხოვნების შესრულება არ არის საკმარისი პრობლემის ეფექტურად გადაჭრისათვის. კონვენცია მხოლოდ 9 ნივთიერებას ეხება (ახლად დამატებული “მდგრადი ორგანული დამბინძურებელი”), რომელიც მცირე ნაწილი იმ მთლიანი რაოდენობისა, რასაც ვადაგასული პესტიციდები ეწოდება. დამატებით კი შეიძლება ითქვას, რომ პრობლემა არსებობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში.

იმ შემთხვევაში, თუ სათანადო ყურადღება არ მიექცევა და მასშტაბური ქმედებები არ განხორციელდება, პრობლემა უფრო გაიზრდება. დაუცველი საწყობები (მათი რაოდენობა ათეულ ათასს აღწევს) სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენენ როგორც ადამიანების, ასევე ცხოველთა სამყაროსათვის. ვადაგასული პესტიციდები ასევე დიდი საფრთხეა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობისას ევროკავშირის წევრი და არაწევრი ქვეყნებისათვის. ნიტროფენთან დაკავშირებული პირდაპირი და ირიბი ზარალი 2002 წელს გერმანიაში 200 მილიონ ევროს აჭარბებდა. ვადაგასული პესტიციდები, მათვისაც საფრთხეს წარმოადგენს, ვინც მარაგების ზონიდან ძალიან შორს იმყოფება, ვინაიდან ისინი დანგრეულ საწყობებში ინახება და იქიდან წყალდიდობების დროს მდინარეებში ხვდებიან; როგორც ეს 2002 წელს გერმანიაში, ხოლო რუმინეთსა და უკრაინაში 2008 წელს მოხდა.

ამავე დროს, ვადაგასული პესტიციდების განმენდითი სამუშაოების ღირებულება (3000 ევრო ერთ ტონაზე) არ არის მაღალი (დასავლეთ ევროპისთვის). თუ მხედველობაში იერთებთ, რომ მათი რაოდენობა 256 000-263 500 ტონაა ევროკავშირის ახალ წევრ და კანდიდატ ქვეყნებში, ასევე ქვეყნებში, რომლებიც სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში არიან მოქცეულები (რუსეთი, შუა აზიის ქვეყნები), ეს თანხა 770-790 მილიონ ევროს აღწევს.

ასევე არის მცდელობები, რომ ქვეყნებმა გარკვეული ზომები მიიღონ პრობლემის გადაჭრისათვის დაკავშირებით. მოლდოვეთიდან 1150 ტონა ვადაგასული პესტიციდი განადგურდა მსოფლიო ბანკის პროექტის მხარდაჭერით. განადგურების მიზნით უკრაინიდან გერმანიაში ექსპორტირებულ იქნა

1000 ტ ვადაგასული პესტიციდები და დაგეგმილია 2000 ტ ვადაგასული პესტიციდების ექსპორტირება.

პროცესის შემდგომი დაჩქარებისათვის საჭიროა ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა ევროკავშირის მხრიდან. ამავე დროს, ამ გზით გაიზრდება ინფორმირებულობა ადგილობრივებში და შესაძლოა საკანონმდებლო ინიციატივები შემუშავდეს.

მოვუნოდებთ ევროკავშირს, უხელმძღვანელოს ამ პროცესს და წევრ ქვეყნებთან თუ პარლამენტთან ერთად, შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა. სადაც დადგენილი იქნება ფუნქციები როგორც საერთაშორისო დონორი-ორგანიზაციებისთვის, ასევე არასამთავრობო სექტორისა და მომხმარებლების, მწარმოებლებისა და ამ სფეროში ჩართული სავაჭრო ინსტიტუციებისთვის. მოცემული გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს:

- საბჭომ, რომელსაც უხელმძღვანელებს პრეზიდენტი, ვადაგასული პესტიციდების საკითხი უნდა დასვას ეკოლოგიურ საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ჯგუფთან.

- ევროპის პარლამენტმა:

- 1) უნდა მოითხოვოს სტრატეგიის შეცვლა ვადაგასული პესტიციდების აღრიცხვის საფუძველზე;

- 2) ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სტრატეგიულ დოკუმენტში შეტანილ იქნას ვადაგასული პესტიციდების საკითხი.

- ქვეყნებმა, რომელთაც ჯერ კიდევ გააჩნიათ ვადაგასული პესტიციდები, თავიანთ ტერიტორიაზე:

- 1) სტრატეგიულ გეგმებში პესტიციდები პრიორიტეტად უნდა ცნონ;

- 2) მათი განადგურების საკითხი დონორებთან განსახილველ საკითხებს დაუმატონ;

- 3) სახელმწიფოს შიგნით მობილიზებულ იქნას დაფინანსების ერთობლივი წყაროები.

- ევროპის კომისიამ, ევროპარლამენტმა და ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა უნდა გაააქტიურონ დიალოგი პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით.

- ევროკავშირის ახალმა წევრმა ქვეყნებმა უნდა გააუმჯობესონ პესტიციდების შენახვის სტანდარტები.

- მცენარეთა დაცვის ასოციაციებმა, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით, უნდა შეადგინონ ცარიელი ტარების განადგურების პროგრამა (საფრანგეთისა და პოლონეთის მაგალითზე).

## 1. ზოგადი მიმოხილვა

პესტიციდები მოხმარებისათვის გამოუსადეგარი ხდება, როდესაც მათი გამოყენება შეუძლებელია დანიშნულებისამებრ, აიკრძალა მათი ხანგრძლივი ზეგავლენის გამო გარემო კომპონენტებზე, ან არ შეიძლება მათი გამოყენება სიძველის და შეცვლილი სპეციფიკური მოთხოვნების მიზეზით. ამიტომაც ვადაგასული პესტიციდების პრობლემა განსხვავდება. მათ არასწორ გამოყენებასთან ან შენახვასთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ შემთხვევას მიეკუთვნება:

- მოსახლეობის ჯანმრთელობასა და გარემოს ხარისხზე ზეგავლენა;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და ვაჭრობა.

პრობლემები წამოიჭრა გასული საუკუნის 50-60-იან წლებში, როდესაც კომუნისტურ ქვეყნებში მოსავლიანობის ამაღლების მიზნით მათი გამოყენება საგრძნობლად გაზარდეს.

პესტიციდები ფერმერებს უფასოდ ურიგდებოდათ, რამაც გამოიწვია არა მარტო ჭარბი გამოყენება, არამედ მათი დაგროვება. ზოგიერთი შეფასების მიხედვით, დღეს ათი ათასობით საწყობში დაახლოებით 260 000 ტონა ვადაგასული პესტიციდები ინახება და ეს ხდება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ჩრდილო ბალკანეთში და ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში, რომლებიც პოლონეთიდან ყირგიზეთამდეა გადაჭიმული (ფიოდოროვი და იაბლოკოვი, 2004 და დანართი 1).



## 2. საერთაშორისო შეთანხმებები

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებულ საერთაშორისო შეთანხმებებს მიეკუთვნება ბაზელის, სტოკჰოლმის და როტერდამის კონვენციები. ძირითადი კი არის სტოკჰოლმის კონვენცია, რომელიც რატიფიცირებულია 152 ქვეყანაში და ძალაში შევიდა 2004 წელს. დღეისათვის კონვენციები ჯერ კიდევ არ არის რატიფიცირებული რუსეთის (უკვე მიუერთდა სტოკჰოლმის კონვენციას), ამერიკის შეერთებული შტატების, თურქეთის, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის, ჩენოგორიეს, სერბიის და ევროკავშირის წევრი ისეთი ქვეყნების მიერ, როგორცია იტალია, ირლანდია და მალტა.

სტოკჰოლმის კონვენცია კრძალავს რამდენიმე ისეთი ქიმიური ნივთიერების გამოყენებას, როგორცაა მდგრადი ორგანული დამბინძურებლები და არ ეხება ვადაბასული პესტიციდების პრობლემას. კონვენციის ძირითადი მოთხოვნა არის შემდეგი:

- ჩამონათვალში შესული ქიმიური ნივთიერებების წარმოებისა და გამოყენების აკრძალვა;
- იმპორტზე მკაცრი აკრძალვების შემოღება;
- მარაგების გამოვლენა და მათი უსაფრთხო მართვა;
- განვითარებადი და გარდამავალი პერიოდის მქონე ქვეყნების ინტერესების გათვალისწინება ტექნიკური დახმარებების და ფინანსური მხარდაჭერის ჩათვლით;

• ეროვნული გეგმების მომზადება კონვენციის მოთხოვნების მისაღწევად. ევროკავშირმა სტოკჰოლმის კონვენციის პუნქტები თანამეგობრობის კანონში გადაიტანა, ამიტომაც მისი მოთხოვნები აუცილებლობას წარმოადგენს ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის (იხ. ევროკავშირის სამოქმედო გეგმა მდგრად ორგანულ დამბინძურებლებთან დაკავშირებით, 2 და 4 გვ).

ბაზელის კონვენცია თვლის, რომ ყველა მდგრადი ორგანული დამბინძურებლები საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის და იცავს იმ მანვე ზემოქმედებისაგან, რაც შეიძლება წარმოიშვას მათი წარმოების, გამოყენების, ტრანსსასაზღვრო გადაზიდვების და განადგურების დროს.

UNECE-ს პროტოკოლი შედარებით სხვა მიმართულებისაა. მასში შედის 16 ნივთიერება, რომელიც მოიცავს 11 ორგანულ ნაერთს, 2 ტიპის საწარმოო ქიმიკატს და ქიმიური ნარმოებისას წარმოქმნილ 3 თანაპროდუქტს. ამ პროტოკოლის მიზანია დარეგულირდეს ამ ნაერთების მართვა. ალდრინი, ქლორდანი, ქლორდეკონი, დილდრინი, ენდრინი, ჰექსაბრომობიფენილი, მირექსი და ტოქსაფენი - აკრძალული ნაერთებია. სხვები კი მოგვიანებით ამოიღეს ხმარებიდან (დოქლორ-დიფენილ-ტრიქლორეთანი, დდტ, ჰეტაქლორი, ჰექსაქლორბენზინი და პოლიქლორირებული ბიფენილი). ეს პროტოკოლი მკაცრად კრძალავს დდტ-ს, ჰექსაქლორციკლოპექსანის, ლინდანის და პოლიქლორირებული ბიფენილის გამოყენებას.

დაბოლოს, როტერდამის კონვენცია მხარს უჭერს ქვეყნებს შორის თანამშრომლობას საშიში ქიმიური ნივთიერებებით საერთაშორისო ვაჭრობისას. ეს ეხება უფრო ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლას აკრძალულ ან მკაცრად შეზღუდულ ქიმიურ ნივთიერებებზე. ამ კონვენციაში 39 ნივთიერებაა და აქედან 24 პესტიციდია — 4 ძალიან მომწამლავი პესტიციდური ნაერთი და 11 საწარმოო ქიმია. ევროკავშირში პესტიციდების მართვა რეგულირდება

კანონით 850/2004. ამ კანონით გათვალისწინებულია საერთაშორისო შეთანხმებების მოთხოვნები, ამ შემთხვევაში, სტოკჰოლმის კონვენციაში შესული 13 დასახელების მდგრადი ორგანული დამბინძურებლების წარმოების, ვაჭრობის და გამოყენების აკრძალვა. ამავე კანონით რეგულირდება ევროპაში დიოქსინ ფურანების და პოლიქლორირებული ბიფენილების საკითხი და იგი ავალდებულებს ქვეყნებს, სამოქმედო გეგმა შეიმუშაონ ამ ნივთიერებების შემცირებასთან დაკავშირებით. ევროკომისია ამ საკითხების შემონიშნებას ახდენს ანგარიშების საფუძველზე. გაეროს გარემოს დაცვითი პროგრამების მიერ შემუშავებული პროტოკოლები და რეკომენდაციები მდგრადი ორგანული დამბინძურებლების მართვასთან დაკავშირებით ევროკავშირის ნევრი ქვეყნების სტრატეგიულ გეგმებსა და პოლიტიკის დოკუმენტებში შედის.

სტოკჰოლმის კონვენციის თითოეულმა წევრმა ქვეყანამ უნდა წარადგინოს გეგმა, სადაც კონკრეტული ნაბიჯები იქნება აღწერილი მდგრადი ორგანული დამბინძურებლების პრობლემის აღმოსაფხვრელად. სამოქმედო გეგმა (POPCIP) ევროგაერთიანების ქვეყნებისათვის 2007 წლის 9 მარტს დამტკიცდა.

POPCIP სამოქმედო გეგმის მიზანი არ არის, მხოლოდ იურიდიულად შესრულდეს სტოკჰოლმის კონვენციის მოთხოვნები, არამედ უნდა აღირიცხოს ის ღონისძიებები, რომელიც ქვეყნებში ამ პრობლემის მოსაგვარებლად ჩატარდება.

შესაბამისად, POPCI-ს სამოქმედო გეგმის მიზნებს წარმოადგენს:

1. განისაზღვროს ქმედებები მიმდინარე პერიოდისათვის მდგრად ორგანულ დამბინძურებლებთან დაკავშირებით;
2. შეფასდეს მათი ეფექტურობა კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად;
3. განისაზღვროს საჭიროებები მომავალი ქმედებებისათვის;
4. გაძლიერდეს შესაძლებლობები შემდგომი ქმედებებისათვის;
5. განისაზღვროს ქვეყანაში მიმდინარე სხვა გარემოს დაცვითი ღონისძიებებისა და დაგეგმილი ქმედებების ურთიერთკავშირი და უზრუნველყოფილ იქნას ურთიერთთანამშრომლობა სხვა მიმდინარე ქმედებებთან გარემოს დაცვის სფეროში;
6. აღნიშნულ სფეროში გაიზარდოს ინფორმაციულობა და კონტროლი.

ევროკავშირის არანევრ ქვეყნებზე მოქმედებს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკით მიღებული გადაწყვეტილებები და მის ფარგლებში სამოქმედო გეგმებია შემუშავებული თითოეული პარტნიორი ქვეყნისათვის.

### 3. პრობლემის ხარისხი (დონე, სიმწვავე)

ძალიან რთულია, ზუსტად განისაზღვროს პესტიციდების რაოდენობა, რომლებიც დიდ საფრთხეს წარმოადგენენ. მათი უდიდესი ნაწილი ძალიან ძველია და მათთან დაკავშირებით დოკუმენტაციები არ არსებობს. უმრავლესობა ქლორორგანული ნივთიერებებისა კი ცნობილია სტოკჰოლმის კონვენციის ფარგლებში. ქვეყნებში მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება 9 მეტად საშიშ ქიმიურ ნივთიერებაზე და ეს არ არის ცოტა. ზოგიერთი ნივთიერების რაოდენობა შესაძლოა მხოლოდ მიახლოებით შეფასდეს, რადგან მასშტაბები იცვლება.

2000 წლის მონაცემები და გაეროს გარემოს დაცვითი პროგრამების შეფასება, რომელიც აფრიკის ქვეყნებში მუშაობის შემდეგ იქნა მიღებული, ამტკიცებს, რომ მდგრადი ორგანული დამბინძურებლები მხოლოდ 30%-ია ვადაგასული პესტიციდების მთლიან რაოდენობაში.

ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, ვადაგასული პესტიციდების რაოდენობა სხვადასხვა ინსპექტირების გზით დადგინდა. IHPA -ს მონაცემებით, ეროკავშირის ახალ წევრ და სამეზობლო პოლიტიკის გაელენის ქვეყნებში, რუსეთში და ცენტრალურ აზიაში საერთო რაოდენობა

რეგიონი	რაოდენობა ტონაში	შეფასება მილიონ ევროში
სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნები და რუსეთი	151 500	454,5
შუა აზია	47 500	142,5
ქვეყნები, რომლებიც ეროკავშირში შესვლას გეგმავენ	36 000-დან 41 500-მდე	108-დან 124,5-მდე
ეროკავშირის ახალი წევრი ქვეყნები	21 000-დან 23 000-მდე	63-დან 69-მდე
სულ	256 000-დან 263 500-მდე	768-დან 790,5-მდე

შეიძლება 250 000-დან 263 500 ტონამდე მერყეობდეს (იხილეთ დანართი 1). გათვლით, 3000 ევრო თითო ტონა უსაფრთხოდ განთავსებულ პესტიციდზე. მონაცემთა წყარო. IHPA-ს მონაცემები — ეროვნული გეგმა მდგრადი ორგანული დამბინძურებლების კონვენციის შესრულებაზე (იხ. დანართი 1)

ასეთი მარაგები შესაძლებელია ნაპოვნი იქნას ოთხი ძირითადი ფორმით:

- ძველ საწყობებში — მათ ირგვლივ მცირე რაოდენობით ნარჩენები რამდენიმე კილოგრამიდან ათეულ ან ასეულ ტონამდეა (გამონაკლის შემთხვევაში 1000 ტონამდეც). ისინი მიმოფანტულია ათეულობით ადგილზე.

- ნარჩენები სხვადასხვა პოლიგონებზე – ასეთი შემთხვევები ძირითადად გვხვდება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში სამარხების (პოლიგონების) სახით, რომელიც დაპროექტებულია სახიფათო ნარჩენების უსაფრთხოდ

განსათავსებლად. ძირითადად ასეთი ადგილები კარგად იყო დაცული, მაგრამ საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდეგ მიტოვებულ პოლიგონებზე დაცვის სისტემებიც განადგურდა.

- ნარჩენები, რომლებიც პესტიციდების ნარმოების პროცესში ნარმოიქმნა და ძირითადი კომპონენტია ჰექსაქლორციკლოჰექსანი, ნარმოების დროს შეიცავენ ლინდანს. ისინი მიმოფანტულია საწარმოო ტერიტორიის გარშემო (ზოგ შემთხვევაში ასობით ტონა). ჰექსაქლორბენზინის ნარჩენები გამოყენებულია როგორც პესტიციდების ან პერქლორქლორეთილენის ნარმოების ნარჩენი (ეს ცნობილია, როგორც ტეტრაქლორეთანი). ამ პესტიციდების უმნიშვნელო რაოდენობა ნაპოვნია ჩეხეთის რესპუბლიკაში და უკრაინაში.

IHPA-ს გათვლით, ვადაბასული პესტიციდებისგან ტერიტორიის გასუფთავება, შეფუთვა, ტრანსპორტირება და საბოლოო განადგურება მოითხოვს დანახარჯს 1 ტონაზე 3000 ევროს. FAO-ც ანალოგიურ ციფრებს იძლევა. საერთო რაოდენობით, ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში ვადაბასული პესტიციდების გასუფთავებისთვის საჭიროა 770-დან 790 მილიონ ევრომდე. FAO-ს მონაცემებით, ეს თანხა უფრო მაღალი იქნება.



### დამატება 1. დეაქტივაციის ფასი

2002 წელს გერმანია და ევროკავშირი ორგანული დამბინძურებლებით საკვები პროდუქტების დაბინძურების ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ აღმოსავლეთ ევროპაში (ნიტროფენის სკანდალი). საკვები პროდუქტი ყოფილ პესტიციდების საწყობში ინახებოდა, ამ საწყობში ნიადაგი დაბინძურებული იყო და, შესაბამისად, დაბინძურდა პროდუქტიც. გერმანიის ფერმერთა ასოციაციამ გამოთვალა, რომ ნიტროფენის სკანდალმა 2002 წელს მათ 500 მილიონი დოლარის ოდენობის პირდაპირი და არაპირდაპირი ზიანი მიაყენა.

### დამატება 2. ინაქტივაციის რისკი

გერმანიის საკონსულტაციო ჯგუფმა გამოიტანა დასკვნა, რომ შესაძლოა საკვები პროდუქტების დაბინძურების საფრთხე მოდიოდეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გამოყენებული პესტიციდებიდან. შეიძლება ისეთივე სიტუაცია, რაც იყო ნიტროფენის სკანდალის დროს გერმანიაში, იყოს უკრაინაშიც, რადგან კვების უსაფრთხოება უკრაინაში იგივეა, რაც ბომბი საათის მექანიზმით.

### დამატება 3. HCH ასაფეთქებელი მონყობილობა საათის მექანიზმით (ივანოფრანკოვის ოლქი, დასავლეთ უკრაინა)

მდინარე დნესტრის შენაკადის, სავას ნაპირებზე განლაგებულია ევროპაში HCH -ის ყველაზე დიდი მარაგების საწყობები. დნესტრის აუზში დაახლოებით 7 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ხოლო თავად მდინარე სასმელი წყლის ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელია მოლდოვისა და უკრაინის დასახლებული პუნქტების ნაწილისათვის. აღნიშნულ საწყობებს აუცილებლად სჭირდება დროული ლიკვიდაცია, რადგან იქ მოთავსებულია ათობით ათასი ტონა HCH. შეფასების მიხედვით, ამ საწყობში 30% ვადაბასული პესტიციდებია. 2006 წელს შემუშავებული სამოქმედო გეგმის მიხედვით უნდა მოხდეს ამ საწყობის ლიკვიდაცია, მაგრამ, ვინაიდან სამოქმედო გეგმა დამტკიცებული არ არის, პრობლემა პრობლემად რჩება.



## 4. ვადაგასული პესტიციდეზის შეგროვების და გაუვნებელყოფის პროცესი

### 4.1. ქმედებები ევროკავშირის ნეერ ქვეყნებში.

ვადაგასული პესტიციდეზის პრობლემა აღიარებული პრობლემაა ევროკავშირის ნეერ ყველა ქვეყანაში. ევროპაში ხშირ პრაქტიკას წარმოადგენს ვადაგასული პესტიციდეზის მარაგის მომწოდებელთან დაბრუნება, სადაც ყველა მესაკუთრე განსაზღვრულია. ვადაგასული პესტიციდეზის პრობლემა მწარმოებელმა უნდა მოაგვაროს. ეს განისაზღვრება სპეციალური კანონით, რაც მოიცავს მის შეგროვებას და განადგურებას. ევროკავშირის გაფართოებამ კი გამოიწვია ის, რომ ახალ ნეერ ქვეყნებშიც იგივე კანონმდებლობა მოქმედებს. ევროკავშირში შესვლისას ქვეყნები წარადგენენ სამოქმედო პროგრამებს, როგორცაა PHARE და DANCEE (დანიური ეკოლოგიური დახმარება აღმოსავლეთ ევროპას), რომლებიც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ახალ ქვეყნებს პრობლემის გადაჭრაში დაეხმარნენ. მაგალითად, 2002 წელს, ნიტროფენის სკანდალის შემდეგ (იხ. დანართი 1), ევროკომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც კანდიდატი ქვეყნებისთვის აღწერილი იყო ვადაგასულ პესტიციდეზთან დაკავშირებული მდგომარეობა. (ევროკომისია, 2002). ანგარიშში მოყვანილი იყო 10 კანდიდატი ქვეყანა, რომლებიც 2004 წელს შევიდნენ ევროკავშირში – ჩეხეთის რესპუბლიკა, კვიპროსი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, მალტა, პოლონეთი, უნგრეთი, სლოვაკია და სლოვენია. ასევე შემუშავებული იყო სიტუაციური ანგარიშები, ვადაგასული პესტიციდეზის და მდგრადი ორგანული დამზინძურებლების შესახებ ინფორმაცია და მართვის საკითხები. ანგარიშში აღწერილი იყო არსებული მდგომარეობა და სირთულეები სტოკჰოლმის კონვენციის მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით. ამჟამად ასეთი ანგარიშები ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში მყოფი ქვეყნებისათვის არ არის. სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაცია აპირებს, გამოაქვეყნოს ცენტრალური აზიის ქვეყნების მდგომარეობა.

### 4.2. ევროკავშირის საზღვრებს მიღმა – მარგინალური პროგრესი

ევროკავშირის არანეერ ქვეყნებში მდგომარეობა სხვადასხვაგვარია. ეს ძირითადად ის ქვეყნებია, რომლებზეც სამეზობლო პოლიტიკა მოქმედებს, ასევე სამხრეთ აღმოსავლეთ ქვეყნები. ამ ქვეყნებში ეროვნული კანონმდებლობა არ არის სრულფასოვნად შემუშავებული, მწარმოებლები ან გაქრნენ, ან არ არიან პასუხისმგებელი, მინის საკუთრების მდგომარეობა გაურკვეველია, არ არსებობს ინფრასტრუქტურა ნეიტრალიზაციის ეფექტურად ჩასატარებლად. არის შემთხვევები, როდესაც საკანონმდებლო ბაზა არსებობს, მაგრამ არაეფექტურია და ხშირად ძირითადი მიზეზი სახელმწიფო რესურსების არარსებობაა.

მიუხედავად ამისა, მცირე ქმედებები ხორციელდება არქტიკის კომისიის სამოქმედო გეგმის შესაბამისად (ACAP). დაახლოებით 2000 ტონა ვადაგასული პესტიციდი შეიფუთა ჩრდილო-დასავლეთ რუსეთში (ACAP 2008). 2002 წელს ალბანეთმა ევროკავშირის პროგრამით (ლ) ფინანსური დახმარება მი-

ილო ვადაგასული პესტიციდების მარაგის გასანადგურებლად. მოლდოვეთში 2008 წელს მსოფლიო ბანკის მიერ ინიცირებულ იქნა 1 150 მდგრადი ორგანული დამბინძურებლები, მათ შორის 160 ტონა PCB (პლესკა, 2008 წ.). ეს პროექტი 2008 წლის ბოლოს დასრულდა. ჰოლანდიელი დონორების და PSO დახმარებით ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დააფინანსა პროექტი “ვადაგასული პესტიციდების რისკფაქტორების შემცირება მოლდოვეთში, საქართველოსა და ყირგიზეთში”. 2008 წლის ბოლოს 400 ტონამდე ვადაგასული პესტიციდები შეიფუთა და უსაფრთხოდ განთავსდა. იგივე ტიპის პროექტი უკრაინაში 2009 წლამდე გაგრძელდა. 1999 და 2003 წლებში მსგავსი პროექტებისათვის დანიელებმა 1,53 მილიონი ევრო გამოყვეს. პირველი ეტაპი უკრაინაში ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებას მოიცავდა რისკის შემცირებასთან დაკავშირებით, რომელიც ვადაგასული პესტიციდებით იყო გამოწვეული. მეორე ეტაპი მოიცავდა საპილოტე პროექტებს, ადგილობრივი ორგანიზაციების მხარდაჭერას, სამუშაო ჯგუფების ტრენინგს, რომლებიც შიდა ფინანსების მოზიდვაზე იმუშავებდნენ. უკრაინაში უკვე გამზადებულია 1000 ტონა ვადაგასული პესტიციდები, რომელიც გერმანიაში უნდა გადაიგზავნოს გასანადგურებლად. პროექტი დამტკიცებულია და ეროვნული ეკოლოგიური ფონდი აფინანსებს. ასევე მზადდება ტენდერები დანარჩენი 2000 ტონის გასანადგურებლად.

ეს ყველაფერი იმპულსური ხასიათისაა და არ არსებობს სისტემატური ჩართულობა ქვეყნებში, ასევე ეს პროექტები არ მოიცავს ყველა საწყობს. ძირითადად საშიშ ნივთიერებებს შორის არის HCH და ვადაგასული პესტიციდები. HCH არის ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკაში – მაკედონიაში და აზერბაიჯანში. ამ ქვეყნებში ხშირად არ არსებობს ინსტიტუციონალური და ფინანსური რესურსი და უფრო ხშირად კი პოლიტიკური ნება.

## 5. ნაბიჯები პროგრესისათვის

წარმატებული პროექტების მრავალი მაგალითი არსებობს, ასევე ქვეყნები, რომლებიც ვალდებული არ არიან ევროკავშირის წევრი და ასევე სხვა განვითარებული ქვეყნები. ამ ქვეყნებში არის ინფორმირებულობა, კანონმდებლობა, დაფინანსება და ტექნიკური ცოდნა. ჩამოთვლილი მექანიზმებიდან ნაწილი ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში მოქცეულ ქვეყნებში არ არსებობს.

თუმცა ამ ქვეყნებშიც შეინიშნება პროგრესი. პირველი რეგიონალური პროექტი გარემოს გლობალურმა ფონდმა დაამტკიცა. IHPA-ს ხელმძღვანელობით დაიწყო პროექტი “ვადაგასული პესტიციდების, მათ შორის POPs (მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები) და ვადაგასული პესტიციდების პრობლემის მოგვარების მიზნით შესაძლებლობების გაძლიერება აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის”, რომელიც თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან Milieukontakt International და Green Cross-თან. ასევე 9 ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლებთან: ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ბელარუსი, მაკედონია, მონღოლეთი, რუმინეთი და მოლდოვა. ეს პროექტი ცდილობს, გააზიაროს გამოცდილება და რეგიონალურ ჭრილში განიხილოს და გაზარდოს შესაძლებლობები. ამავე დროს, სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციამ მოამზადა ინფორმაცია ვადაგასული პესტიციდების შესახებ. პირველად ეს ინფორმაცია წარმოდგინდა იქნა 2008 წელს ბაქოში (აზერბაიჯანი) გამართულ შეხვედრაზე. აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ ეს სერიოზული პრობლემაა ქვეყნის განვითარების გზაზე და დაუყოვნებლივ უნდა გადაიდგას ნაბიჯები.

ამავე დროს, მსოფლიო ბანკმა სპეციალური მისია მიავლინა ტაჯიკეთში, ყირგიზეთში, უზბეკეთსა და საქართველოში POPs-ების მდგომარეობის შესწავლის მიზნით. ასევე აღსანიშნავია გლობალური გარემოს დაცვის ფონდის მიერ დაფინანსებული რეგიონალური პროექტი (DDT-ს პროექტი) UNEP / WHO / GEF რომელიც მიმდინარეობს საქართველოში, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში. ამ პროექტის პარტნიორები არიან Milieukontakt International და Green Cross და განსაზღვრულია DDT-ს მარაგების განადგურება.

პარალელურად, IHPA რეგიონალური პროგრამის ფარგლებში აგრძელებს ინფორმაციის გაცვლას და მხარს უჭერს ადგილობრივ ინიციატივებს, როგორცაა ვისლავ კუცის გამოფენა, რომელიც ვადაგასულ პესტიციდებს შეეხება. თუმცა საჭიროა მეტი აქტიუობა.

— იმისათვის, რომ უფრო მეტი ქვეყანა იყოს მოცული, ევროკავშირმა სხვა დონორებთან ერთად უნდა გაზარდოს ინფორმირება, პროექტების დაფინანსება და ადგილობრივი შესაძლებლობები. ასეთი პროექტები მიმდინარეობს გლობალური გარემოს დაცვის ფონდის მხარდაჭერით და უნდა გაფართოვდეს არეალი, რომ 30 ქვეყანა იყოს მოცული და არა მხოლოდ ის 9, რომელიც ახლანდელ პროექტშია (ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ბელარუსი, მონღოლეთი, მაკედონია, რუმინეთი, მოლდოვა).

— ამის პარალელურად, ევროკავშირმა პოლიტიკურ დონეზე უნდა მოითხოვოს ამ ქვეყნებისგან სტოკჰოლმის კონვენციის რატიფიცირება: ბოს-

ნია და ჰერცოგოვინა, ჩერნოგორიე, სერბეთი და თურქეთი.

— მესამე ნაბიჯი უნდა იყოს რეალური აღრიცხვის სისტემის აწყობა, რაც სწორი დაგეგმარების, ბიუჯეტის შედგენისა და განადგურების სამუშაოების ჩატარების ერთადერთი წინაპირობაა. რუმინეთის მიერ ევროკავშირის პროექტის ფარგლებში დაიწყო საუბარი აღრიცხვიანობის შესახებ და ამასთან დაკავშირებული მასალები უკვე არის სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციაში, ასევე გაეროს სხვა ორგანიზაციებშიც. რუმინეთში IHPA -ს დახმარებით ისეთი სისტემა დაინერგა, რომელიც ქვეყანას ახალი ვადაბასული პესტიციდების სანყოფების წარმოშობას აარიდებს თავიდან. ეს უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი თითოეულმა ქვეყანამ უნდა გადადგას და ევროკავშირში ამას ხელი შეუწყოს იმ პრინციპის დამკვიდრებამ საკანონმდებლო სივრცეში, სადაც ნათქვამია: “ვინც გამოგიგზავნა, ისევ იმას გაუგზავნე”.

— ყველაზე ძვირადღირებული ნაბიჯი კი შეგროვება და საბოლოოდ განადგურება ან, თუ განადგურება შეუძლებელია, უსაფრთხოდ განთავსება და შენახვა. დღეისათვის ამ მხრივ ინიციატივები ისევ სტოკჰოლმის კონვენციის ფარგლებში მუშავდება.

## 6. შეთავაზება - სამოქმედო გეგმა

ამ პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა გაუმჯობესდეს ინფორმირებულობა ვადაგასულ პესტიციდებთან დაკავშირებით | ქვეყნებში, სადაც ისინი დიდი რაოდენობითაა. ამასთანავე, იმ ქვეყნებმა, საიდანაც ვადაგასული პესტიციდების იმპორტი ხდება, კანონი უნდა მიიღოს აღრიცხვის შესახებ, თითოეულმა ქვეყანამ უნდა შეიმუშაოს მათი განადგურების გეგმა და შეაფასოს ფინანსური საჭიროებები.

ჩვენ მოვუწოდებთ ევროკომისიას, აიღოს ლიდერის ფუნქცია და გააერთიანოს ევროკავშირის ქვეყნები, სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში მყოფი ქვეყნები, ასევე შუა აზიის ქვეყნები და ამასთანავე, საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა მსოფლიო ბანკი FAO UNEP, UNIDO, GEF არასამთავრობო სექტორი, სანარმოები და ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლები.

სამოქმედო გეგმით გაერომ უნდა მოითხოვოს, რომ ამ ორგანიზაციებმა შეასრულონ კონკრეტული ქმედებები:

- საბჭომ დასვას საკითხი ვადაგასული პესტიციდების პრობლემასთან დაკავშირებით;

- ევროპარლამენტმა მოითხოვოს დამატებითი სტრატეგია, რომელიც აღრიცხვას გულისხმობს;

- ქვეყნებმა, რომელთაც ვადაგასული პესტიციდების პრობლემა აქვთ:

1. პრობლემა პრიორიტეტული უნდა გახადონ თავიანთ ეროვნულ გეგმებში;
2. მათი გაუზენებელიყოფა უნდა დაამატონ იმ პროგრამებში, რომელთაც დონორებს წარუდგენენ და ასევე მოამზადონ თანადაფინანსებისათვის საჭირო ადგილობრივი შესაძლებლობები;

- ევროკომისიამ, ევროპარლამენტმა და ევროკავშირის ქვეყნებმა გააძლიერონ მუშაობა ამ პრობლემის დაუყოვნებლივ გადასაჭრელ პრობლემათა სიაში შესატანად და მათი გადანყვეტის გზები დასახონ;

- ევროკავშირის ახალი ქვეყნები სასწრაფოდ უნდა დაექვემდებარონ აღრიცხვიანობის მოთხოვნას ვადაგასული პესტიციდების პრობლემასთან დაკავშირებით;

- მცენარეთა დაცვის ორგანიზაციებმა (სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით) შეიმუშაონ პროგრამები ცარიელ ტარასთან დაკავშირებით და ვადაგასული პესტიციდები ისე გაანადგურონ, როგორც ეს პოლონეთსა და საფრანგეთში განხორციელდა.

## გამოყენებული ლიტერატურა

ACAP (Artic Council Action Plan) (2008), Draft Minutes ACAP Working Group, 4-5 March 2008, Moscow.

Antonov, Anatolii and Anatolii Gamera (2007), 9th International HCH and Pesticides Forum, 20–22 September 2007 (see [http://www.ihpa.info/docs/library/9th/9thHCH\\_FORUM\\_BOOK\\_part1.pdf](http://www.ihpa.info/docs/library/9th/9thHCH_FORUM_BOOK_part1.pdf) as well as part 2 and 3 on this website).

Barroso, José Manuel (2007), Contribution by the President of the European Commission, in Wieslaw Stefan Kuc (ed.), Caution, Dangerous Chemicals, Obsolete Pesticides, pp. 96-106.

BBC Radio 4, Broadcast on Problem of Accumulated Obsolete Pesticides in Africa ([http://www.blackherbals.com/bbc\\_radio\\_4\\_broadcast\\_on.htm](http://www.blackherbals.com/bbc_radio_4_broadcast_on.htm)).

Brennpunkt LebensmittelSicherheit (2002), Nr. 1, p. 11, Juni, Der Nitrofen-Skandal, Behr's Verlag Hamburg.

CLU-IN (2008), Persistent Organic Pollutants – The Triple Price (video) ([www.clu.in.org.ottowa](http://www.clu.in.org.ottowa)).

Cramon-Taubadel, S. von (2002): Germany's Nitrofen Scandal and Food Safety in Ukraine. Beratungspapier S2 der Deutschen Beratergruppe Wirtschaft bei der ukrainischen Regierung. Kiew, Juli.

DANCEE (Danish Environmental Assistance to Eastern Europe) (1994-2001), Hazardous Waste Management Systems in Estonia, 124/009-0009, Danish EPA, DANCEE, Chemcontrol, 1994-2001.

DANCEE Lithuania (1995-2002), Action Plan for the Management of Un-used Pesticides in Lithuania, 124/025-0026, Danish EPA, DANCEE, by Krüger in collaboration with COWI.

DANCEE Latvia (1999-2002), Incinerator for Hazardous Waste in Latvia, 124/023-0070, Danish EPA, DANCEE, Chemcontrol.

DANCEE Baltic States and Russia (2001-2002), Project on the phase-out of POPs in the Baltic States and Russia, 124/000-0166 Danish EPA, DANCEE, COWI, 2000-2002.

DANCEE Eastern and Central Europe (2001), Review of OPS in Eastern and Central Europe, Elaborated COWI for the Danish EPA, Draft completion report, February 2001.

DANCEE Latvia (2001), Status on POPs Phase-out in the Baltic States (Latvia).

DANCEE (2002-2004), Elimination of Obsolete Pesticides, Latvia (2002 – 2004), COWI Consultants.

DANCEE (2003), Danish-Ukrainian Environmental Co-operation, 1993-2002.

DANCEE (2004-2006), Management of Obsolete Pesticides in the Russian Federation, COWI Consultants.



- Danish EPA (2001-2004), Belarus, Survey, Management and Disposal of Accumulated, Obsolete Pesticides in Belarus, Danish EPA, DTI, COWI Consultants and DANCHEM.
- Dimas, Stavros (2007), "Danger of Obsolete Pesticides", in Wieslaw Stefan Kuc (ed.), *Caution! Dangerous Chemicals, Obsolete Pesticides*, pp. 108-114.
- Dimcheva, Tsvetanka (2008), "Management of Obsolete Pesticides in Bulgaria", paper at Workshop on the management of polychlorinated biphenyl, OPs and unintentional emissions of persistent organic pollutants, Belgrade, 24–26 September 2008, INFRA 303731 (<http://taixec.europa.eu/> – see TAIEC library).
- ENS-News (2002), "Elbe Vulnerable as Czech Chemical Factory Floods" (<http://www.ens-newswire.com/ens/aug2002/2002-08-15-02.asp>).
- Environment and Security (2007), Transforming risks into cooperation – the case of Eastern Europe, Transforming risks into cooperation. The case of Eastern Europe, Belarus – Moldova – Ukraine, UNEP, UNDP, UNECE, OSCE, REC, NATO.
- European Commission (2002), Obsolete Pesticides Status in Candidate Countries, Final Report, September 2002, COWI for European Commission Directorate General for Environment.
- European Commission (2007), Community Implementation Plan for the Stockholm Convention on Persistent Organic Pollutants, Staff Working Document, SEC(2007) 341 of 9.3.2007 ([http://ec.europa.eu/environment/pops/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/environment/pops/index_en.htm)).
- Fedorov, Lev A. and Alexey V. Yablokov (2004), *Pesticides: The chemical weapon that kills life (The USSR's tragic experience)*, PENSOFT Publishers, February.
- Heinisch, Emmanuel (2006), "Persistent Chlorinated Hydrocarbons (PCHC), Source-oriented monitoring", in *Aquatic Media*. 4. The Chlorobenzenes, *Fresenius Environmental Bulletin*, Vol. 15, No. 3, pp. 148-169.
- Heinisch, Emmanuel (2007), "Hexachlorobenzene – Imports via the River Elbe", in Wieslaw Stefan Kuc (ed.), *Caution! Dangerous Chemicals, Obsolete Pesticides*, pp. 334-342.
- Holoubek, Ivan et al. (2006), The National Implementation Plans for Implementation of the Stockholm Convention in the Czech Republic, Project GF/CEH/01/003, Enabling Activities to Facilitate Early Action on the Implementation of the Stockholm Convention on Persistent Organic Pollutants (POPs) in the Czech Republic, Tocoen Report No. 23, p. 45, Brno, January.
- Hübner, Danuta (2007), "Obsolete Pesticides", in Wieslaw Stefan Kuc (ed.), *Caution! Dangerous Chemicals, Obsolete Pesticides*, pp. 116-122.
- Koppe, Jana G. and Jane Keys (2001), "PCBs and the precautionary principle", in David Gee and Sofia Guedes Vaz, *Late lessons from early warnings: The precautionary principle 1896–2000*, Environmental Issue report No. 22, European Environment Agency, 2001.
- Kuc, Wieslaw Stefan (ed.) (2007), *Caution! Dangerous Chemicals, Obsolete Pesticides*.

Kyprianou, Markos (2007), "EU Measures for Pesticides in the Area of Health and Consumer Protection", in Wieslaw Stefan Kuc (ed.), *Caution! Dangerous Chemicals, Obsolete Pesticides*, pp 138-146.

Li, Yi Fan (1999), "Global Technical Hexachlorocyclohexane Usage and Its Contamination Consequences for the Environment: from 1948 to 1997", *Science of the Total Environment*, Vol. 232, pp. 123-160.

Lithuanian National Implementation Plan (2007), "Persistent Organic Pollutants under the Stockholm Convention" (<http://www.pops.int/documents/implementation/nips/submissions/default.htm>).

Michel, Louis (2007), "Risks of Obsolete Pesticides for Developing Countries", in Wieslaw Stefan Kuc (ed.), *Caution! Dangerous Chemicals, Obsolete Pesticides*, pp. 124-136.

National Environmental Policy of Ukraine (2007), *Assessment and Development Strategy*, Kyiv 2007, Ministry of Environmental Protection of Ukraine, p. 180, United Nations Development Programme, Global Environmental Facility, Kyiv.

Plesca, Valentin, Anatol Gobjila, Ion Barbarasa and Larisa Cupcea (2008), "POPs Stocks Management and Destruction in Moldova" in 9th International HCH and Pesticides Forum for CEECCA Countries, Chisinau, Moldova.

Umweltbundesamt (2007), *Schadstoffkonzentrationen in Organismen der Nordsee*, August (<http://www.umweltbundesamt-umwelt.deutschland.de/umweltdaten/public/theme.do;jsessionid=80B4B76B28186A71978B399A197B1113?nodeid=2416>).  
UNECE (2004), *Dniester cooperation to make drinking water safe* ([www.unece.org/press/pr2004/04env\\_p16e.htm](http://www.unece.org/press/pr2004/04env_p16e.htm)).

UNEP (2000), *Intergovernmental Negotiating Committee for an International Legally Binding Instrument for Implementing International Action on Certain Persistent Organic Pollutants*, Fifth session, Johannesburg, 4-9 December, Item 3 of the provisional agenda ([www.pops.int/documents/meetings/inc5/Fr/inf5-4/inf4.doc](http://www.pops.int/documents/meetings/inc5/Fr/inf5-4/inf4.doc)).

Vijgen, John (2006), *The Legacy of Lindane HCH Isomer Production: A Global Overview of Residue Management, Formulation and Disposal*, IHPA (<http://www.iropa.info/docs/library/Lindane%20Main%20Report%20DEF20JAN06.pdf>).

WECF (2006), *Attention - Obsolete Pesticides!*, The problem of OPs management in Ukraine, p. 19 ([http://www.wecf.de/english/publications/2006/obsolete\\_pesticides.php](http://www.wecf.de/english/publications/2006/obsolete_pesticides.php)).

Wodageneh, Alemayehu (2007), "Complex Problems of Obsolete Pesticides and POPs", in Wieslaw Stefan Kuc (ed.), *Caution! Dangerous Chemicals, Obsolete Pesticides*, pp. 508-516.

**დანართი 1.**

**ვადაგასული პესტიციდების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით**

ქვეყანა	რაოდენობა ტონაში	შენიშვნა
ალბანეთი	0	353 ტონა ვადაგასული პესტიციდები განადგურდა 2006 წლის აპრილიდან ივნისამდე პოლანდიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. 2001 და 2002 წლებში PHAR-მ დააფინანსა 360 ტონა ვადაგასული პესტიციდების განადგურება
სომხეთი	800	
აზერბაიჯანი	4 000	
ბელორუსი	6558	ინფორმაცია გამოქვეყნდა მე-9 საერთაშორისო კონფერენციაზე 2007 წლის 20-22 სექტემბერს
ბოსნია-ჰერცეგოვინა	არ არის ცნობილი	
ბულგარეთი	14 103	ტატანა დიმიტევა სიტყვებით, ეკოლოგიისა და წყლის რესურსების სამინისტროს მიერ 2007 წელს 83,5% (11 773 ტონა) უსაფრთხოდ განთავსდა 76 განახლებულ საწყობში და 1 804 ტონა კაფსულირებულ იქნა, ხოლო დანარჩენი 2 330 ტონის შესანახი ადგილი დროებითია.
ხორვატია	0	
ჩეხეთის რესპუბლიკა	0	გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ბოლო 141 ტონა ვადაგასული პესტიციდები 2007 წელს განადგურდა.
ესტონეთი	0	ესტონეთის მთავრობის ცნობით, ინვენტარიზებული 700 ტონა მთლიანად იქნა განადგურებული 2007 წელს
საქართველო	3000	
უნგრეთი	200	
ყაზახეთი	10000	

კოსოვო	8	
ლატვია	10	ოფიციალური ინფორმაციით, 2002-03 წლებში განადგურდა 3190 ტონა; მოგვიანებით კიდევ - 2000 ტონა; თუმცა დამატებით იქნა აღმოჩენილი 10 ტონა
პოლონეთი	5000-7000	ინფორმაცია გამოქვეყნდა პესტიციდების საერთაშორისო ასოციაციის მე-9-ე ფორუმზე; 2007 წლის 20-22 სექტემბერს
მოლდოვა	1000	2006-07 წლებში მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში განადგურდა 1150 ტონა
რუსეთის ფედერაცია	100000	
სერბეთი	200	2008 წლიდან მოქმედი ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში ექვემდებარება განადგურებას
სლოვაკეთი	300	
სლოვენია	350-400	
ტაჯიკეთი	15160	მოქმედი ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში ექვემდებარება განადგურებას
თურქეთი	3300	მოქმედი ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში ექვემდებარება განადგურებას
თურქმენეთი	1671	ზუსტი ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის
უკრაინა	31700	მოქმედი ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში ექვემდებარება განადგურებას
უზბეკეთი	17718	ინფორმაცია გამოქვეყნდა პესტიციდების საერთაშორისო ასოციაციის მე-8-ე ფორუმზე 2005 წლის 26-28 მაისს; თუმცა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მტკიცებით, მარაგები 40000 ტონას აჭარბებს
<b>ჯამი</b>	<b>255519 - 262572</b>	

წყარო: UNEP/POPs/INC.5/1; IHPA ანგარიშები, 22.11.2008.

## დანართი 2

### მაგალითი საქართველოდან

საქართველოში ტოქსიკური ნარჩენების, კერძოდ ვადაგასული პესტიციდების საფრთხის აღმოფხვრის საკითხების გარშემო, თავიანთი შესაძლებლობები გააერთიანეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციებმა - UNEP/FAO/UNDP/WHO და ევროკავშირმა რაც უნიკალური პრეცედენტია.

სოფლის მეურნეობის მაღალი პროდუქტიულობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს მავნებელი დაავადებების წინააღმდეგ გამოყენებული ქიმიური დაცვა. ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში გავრცელებული მავნებელი დაავადებების წინააღმდეგ მრავალფეროვანია, როგორც წარმოშობის ისე მათი გამოყენების ეფექტურობის მიხედვით. ხშირად არის გამოყენებული ტერმინები რომელიც განსაზღვრავს მათ მახასიათებლებს მაგალითად ტოქსიკური, ნაკლებ ტოქსიკური, გარემოს მიმართ ნაკლებ საშიში (Environmentally friendly).

მაგრამ ამ ყველაფერს აერთიანებს მთავარი რამ - პესტიციდები - შექმნილი იმისთვის, რომ მოკლას (მავნებელ დაავადებათა გამომწვევები). ეს ის შემთხვევაა, როცა ადამიანები პირდაპირ განიცდიან ზემოქმედებას თუ ამ პრეპარატების გამოყენება არ არის დარეგულირებული ქვეყანაში. ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ იყო გაცხადებული რომ მსოფლიოში 3 მილიონი ადამიანი ინამლება და კვდება ყოველწლიურად ამ ზემოქმედების გამო.

საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით შექმნილია მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოები, კონვენციები რეგულაციები, რომელთა ძალისხმევით რეგულირების მექანიზმები იხვეწება და ადაპტირდება ეროვნულ კანონდებლობებში. საქართველოში პესტიციდების მართვა რეგულირდება შესაბამისი კანონებით და კანონქვემდებარე აქტებით. კომპეტენტურ ორგანოს ამ სფეროში წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

პესტიციდების გამოყენებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ გარემოდაცვით ნორმებს. როდესაც საქმე გვაქვს ახალი პესტიციდების გამოყენებასთან მისი უარყოფითი ზემოქმედების მართვა ხდება თითოეული პრეპარატისთვის დადგენილი ნორმების და კონცენტრაციების დაცვით. მაგრამ რთული ხდება ვადაგასული პესტიციდების უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება, და კიდევ უფრო რთულია როდესაც ის ინახება გარემოს-დაცვითი სტანდარტების გათვალისწინების გარეშე. სწორედ ამ პრობლემას ქმნის ნარჩენი ვადაგასული პესტიციდები, რომელიც აღიარებულია ერთერთ მნიშვნელოვან პრობლემად როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე. ქვეყანაში კომპეტენტურ ორგანოს ამ სფეროში წარმოადგენს გარემოს დაცვის სამინისტრო.

საქართველოში პირველი ნაბიჯები გადაიდგა 2001 წელს, როდესაც ხელი მოეწერა სტოკჰოლმის კონვენციას “მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ.” სწორედ ეს გახდა საფუძველი ქვეყნისათვის იმ ვალდებულებების შესარულებლად, რომელსაც ითვალისწინებდა აღნიშნული კონვენცია და ქვეყანაში დაიწყო ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება. ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების პარალელურად და ამავე დროს გარემოს

დაცვის სამინისტროს და სხვა უწყებების ერთობლივი ქმედებებით, გადაიდგა მტკიცე ნაბიჯები პრობლემის მოსაგვრებლად.

ვადაგასული პესტიციდების რისკის უსაფრთხო აღმოფხვრის სახელმძღვანელო შექმნილი იქნა სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის (FAO) მიერ და აღიარებულ იქნა გლობალური გარემოსდაცვით ფონდის მიერ. სწორედ ამ სტანდარტების შესაბამისად ინიცირდა პროექტი საქართველოს და ჰოლანდიის მთავრობების მხარდაჭერით. პროექტი კახეთის რეგიონში იქნა განხორციელებული სრულყოფილი კომპონენტებით: ინვენტარიზაცია; რისკის შეფასება; პრიორიტიზირება; შესაფუთი მასალების შერჩევა და ტრანსპორტირება; შეგროვება, შეფუთვა და ცენტრალურ საწყობში გადატანა. აღასანიშნავია რომ თითოეულ ეტაპს თან ახლდა ტრენინგი და ქვეყანაში ვადაგასული პესტიციდების რისკის აღმოფხვრის სფეროში პოტენციალის გაძლიერება.

ამჟამად ქვეყანაში ინიციატივები უფრო მეტია და გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროები აგრძელებენ პრობლემის აღმოფხვრის გზების ძიებას და ახალი პროექტების განხორციელებას. მთელი ქვეყნის მასშტაბით როგორც სამთავრობო დონეზე, ისე არასამთავრობო სექტორის მხრიდან.

პროექტები, რომლებიც დაგეგმილია და იწყებს განხორციელებას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ის ეხმარება ქვეყანას საერთაშორისო კონვენციებით და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

1. GEF/FAO Project - Capacity Building on Obsolete and POPs Pesticides in EECCA countries
2. GEF/UNDP project - "Disposal of POPs Pesticides and Initial Steps for Containment of Dumped POPs Pesticides in Georgia"
3. GEF/UNEP/WHO Project: Demonstrating and Scaling Up Sustainable Alternatives to DDT for the Control of Vectorborne Diseases in Southern Caucasus and Central Asia
4. EC/ GEF/FAO Project: Improving capacities to eliminate and prevent recurrence of obsolete pesticides as a model for tackling unused hazardous chemicals in the former Soviet Union.



## დანართი 3

### აბრევიატურების განმარტებები

ACAP	Arctic Council Action Plan
CLU-IN US EPA	Hazardous Waste Clean-Up Information
COP	Conference of the Parties of the Stockholm Convention
DANCEE	Danish Cooperation for the Environment in Eastern Europe
DG	Directorate General
DOEN	Dutch Foundation (Dutch expression 'doen' means 'to do')
DDT	Dichloro-Diphenyl-Trichloroethane
EC regulation	European Community regulation
EEA	European Environment Agency
EECCA	Eastern European Caucasus and Central Asia
ENP	European Neighbourhood Policy
ENVI Committee	Committee on Environment, Public Health and Food Safety of the European Parliament
EU	European Union
FAO	Food and Agriculture Organisation of the United Nations
GEF	Global Environmental Facility
HCB	Hexachlorobenzene
HCH	Hexachlorocyclohexane
IHPA	International HCH & Pesticides Association
MEP	Member of the European Parliament
NGO	Non-Governmental Organisation
NIP	National Implementation Plan (under the Stockholm Convention)
OP	Obsolete Pesticide
PAH	Polyaromatic hydrocarbon
PCB	Polychlorinated biphenyl
PER (PERC)	Perchloroethylene
PHARE	Poland and Hungary: Assistance for Restructuring their Economies (now expanded to cover the 10 new CEEC member states)
POP	Persistent Organic Pollutant
POPCIP	European Community Implementation Plan on POPs
POPRC	POPs Reviewing Committee of the Stockholm Convention
POP pesticide	One of the nine specific OPs dealt with by the Stockholm Convention
PSO	Capacity-Building in Developing Countries (in Dutch: Personele Samenwerking met Ontwikkelingslanden)
SAVA	Sonderabfallverbrennungsanlagen-GmbH
TMF programme	Theme-based Cofinancing Programme of the Dutch Ministry of Foreign Affairs (in Dutch: Thematisch Medefinancieringsprogramma)
UNDP	United Nations Development Programme
UNECE	United Nations Economic Commission for Europe
UNEP	United Nations Environment Programme
UNIDO	United Nations Industrial Development Organisation
WECF	Women in Europe for a Common Future

# ვადგასული პესტიციდები

ნაღმი, რომელზეც ნამოგომია ჩართული და  
რატომ უნდა ვიმოქმედოთ ახლავა

ვადგასული პესტიციდების მარაგი საშიშროების შემცველია არა მარტო ადამიანის ჯანმრთელობისათვის, არამედ ის ასევე აბინძურებს ბუნებრივ რესურსებს და ამით ხელს უშლის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას.

ღანუტა უბნერი

EU Commissioner for Regional Policy (Humner, 2007).

გერმანელ ფერმერთა ასოციაციის შეაფასებით, ნიტრო-ფენთან დაკავშირებული სკანდალით გამოწვეული ზარალი აჭარბებს 500 მილიონ ევროს.

(Brennpunkt LebensmittelSicherheit, 2002).

ამ ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემის მოსაგვარებლად, სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს სერიოზული ქმედებები, რადგან ნებისმიერი დაყოვნება მეტად აღრმავებს ზიანის მასშტაბებს და მერე ძალიან გვიან იქნება.

ალემაიკუ ვოლაგენეჰი

FAO -ს გლობალური პროგრამის ყოფილი კოორდინატორი ვადგასულ პესტიციდებთან დაკავშირებით (ვოლაგენეჰი, 2007)

უმოქმედობის შემთხვევაში, ამ ქიმიური ნაერთებიდან უმრავლესობა, საბოლოოდ, მოხვდება ნიადაგში, წყალში და ჰაერში. მათი გარემოში გავრცელება კი პრობლემის გადაჭრის ღირებულებასა და საფრთხეს საგრძნობლად გაზრდის.

სტავროს დიმაჰი,

Eu commissioner for Environment (Dimas, 2007).